<u>თარიღი:</u> 12 დეკემბერი, 2014 წელი
<u>სკოლა, კლასი:</u> ქ. თბილისის 177-ე საჯარო სკოლა, მეხუთე კლასი
<u>საგანი:</u> ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია
<u>მასწავლებელი:</u> გვანცა გოგალაძე, ანა ქასოშვილი

თემა	**ქალი ხელმწიფედ?!** ქართული - „თინათინის გამეფება“ (ნაწყვეტი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“) ისტორია - თამარ მეფე
მიზანი და მისაღწევი შედეგები	მოსწავლემ შეძლოს წაკითხულის გააზრება, საჭირო ინფორმაციის ამოკრება ტექსტებიდან, პარალელის გავლება ლიტერატურასა და შესაბამის ისტორიულ ეპოქასთან, საკუთარი ნამუშევრის პრეზენტაცია.
გაკვეთილზე გამოყენებული ძირითადი მეთოდები/სტრატეგიები	**<u>A ფაზა – პროვოცირება</u>** კლასი დაყოფილია 4 ჯგუფად, თითო ჯგუფში 4-5 მოსწავლეა. დავალება ორი სახისაა, ისტორიკოსებისა და ლიტერატორებისთვის. დაფაზე გაყოფილია ორ ნაწილად და წერია შესაბამისი დავალებები. ისტორიკოსებისათვის: საქართველოს მეფეების სახელები - ერეკლე მე-2, დავით მე-4, ვახტანგ გორგასალი, გიორგი მე-2, ფარნავაზი, დაალაგონ ეს მეფეები ქრონოლოგიურად. და ლიტერატორებისთვის, დაფიქრდნენ და გამოიცნონ მითითებული ლიტერატურული ნაწარმოებები რომელ მეფეს ეძღვნება. **2 წთ.** **<u>B ფაზა – ცოდნის კონსტრუირება</u>** მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს გაკვეთილის მიზანს, რომ ეს არის შემაჯამებელი ინტეგრირებული გაკვეთილი ისტორიასა და ქართულ ლიტერატურაში და უნდა შევეცადოთ, გაკვეთილის ბოლოს გავცეთ პასუხი დაფაზე დაწერილ კითხვას. გაკვეთილს იწყებს ისტორიის მასწავლებელი შეკითხვებით: 1. იცით თუ არა ქვეყნები, სადაც დღეს მეფე ჰყავთ; 2. თუ გაუგიათ ქვეყანა, სადაც ქვეყანას მეფე ქალი მართავდა ან მართავს; 3. საქართველოს რომელი სამეფო დინასტიაა ცნობილი მათთვის? 4. არის თუ არა მათთვის ცნობილი საქართველოს ისტორიიდან „ოქროს ხანა“; 5. თამარი მეფე თუ დედოფალი? რატომ იხსენიება იგი მეფედ? კითხვების ამოწურვის შემდეგ დაფაზე პროექტორის საშუალებით ვაჩვენებთ ლადო გუდიაშვილის ილუსტრაციას „თამარის გამეფება“ და მიხაი ზიჩის „თამარ მეფეს“. მოსწავლეებს ვთხოვთ, დაფიქრდნენ და 30 წამის შემდეგ გამოთქვან საკუთარი მოსაზრება, ვინაა გამოსახული ამ ილუსტრაციებზე. მოსწავლეთა სავარაუდო პასუხები იქნება თამარ მეფე და თინათინი. შემდეგ ვაჩვენებთ ჩახრუხაძის ციტატას: „სიუხვით ზღვებრი, სიმაღლით ცებრი, მდაბლად მოწყალე, ჭვრეტად ნარნარი, მძლეთა მძლეველი, თვით უძლეველი, კედრით კედრამდის მძლედ სასმენარი.“ ქართულის მასწავლებელი ისევ სვამს კითხვას, ვის ეძღვნება ეს სიტყვები? სავარაუდოდ, მოსწავლეების პასუხები ისევ იქნება ორგვარი - თამარ მეფე და თინათინი. მასწავლებელი სვამს კითხვას: თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ასეთი

	ასოციაციები? მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ აზრებს და ბოლოს ქართულის მასწავლებელი ეტყვის ილუსტრაციისა და ციტატის ავტორებსა და სახელებს. ისტორიის მასწავლებელი უბრუნდება ლ. გუდიაშვილის ილუსტრაციას და ეკითხება, თუ ახსოვთ, რომელი ეპიზოდია მასზე გამოსახული. ქართულის მასწავლებელი ზიჩის ილუსტრაციაზე უსვამს ანალოგიურ შეკითხვას. **7-8 წუთი** მოსწავლეები მზად არინ ჯგუფური მუშაობიასთვის. ორი ჯგუფი არის ლიტერატორების და ორი - ისტორიკოსების. ჯგუფებს ეძლევათ შესაბამისი დავალებები. ლიტერატურის მასწავლებელი სთხოვს, ყურადღებით წაიკითხონ დარიგებული ციტატები „ვეფხისტყაოსნიდან“ და ასოციაცურ მზეში ეპითეტებით დაახასიათონ პერსონაჟები. ისტორიის მასწავლებელი დაურიგებს ტექსტებს და სთხოვს გასცენ სამუშაოდ ეძლევათ **5 წუთი.** **პრეზენტაცია** (თითო ჯგუფს 3 წთ)– **10-15 წუთი** მუშაობის დასრულების შემდეგ პრეზენტატორები წარადგენენ ჯგუფის ნამუშევარს. წაიკითხავენ დარიგებულ ტექსტებს და შემდეგ ასოციაციურ მზეს გააცნობენ კლასს. <u>C ფაზა - გამთლიანება/ რეფლექსია</u> **5 წუთი.** პრეზენტაციების მერე დაფაზე ივსება ვენის დიაგრამა: თინათინი - თამარი. გაკვეთილის ბოლოს ქართულის მასწავლებელი კლასს უსვამს შეკითხვას, გავიხსენოთ აფორიზმი, რომლითაც რუსთაველმა გაამართლა თამარისა და თინათინის გამეფება და ჩვენი გაკვეთილის დასაწყისში დასმულ შეკითხვასაც პასუხს გავცემთ. მოსაფიქრებლად 15წმ. მასწავლებელი მოსწავლეებისაგან ელოდება აფორიზმს: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ და პროექტორის დახმარებით აჩვენებს ამ ფრაზად დაფაზე. შეჯამების სახით, მასწავლებელი კლასს შეახსენებს, რომ 2012 წელი „ვეფხისტყაოსნის საიუბილეო წელია. 1712 წელს ვახტანგ მეექვსემ გამოსცა სტამბაში დაბეჭდილი კომენტირებული „ვეფხისტყაოსანი“. 300 წლის იუბილესთან დაკავშრებით, ხელნწერთა ეროვნული ცენტრი აწყობს გამოფენას და წარმატებული შმაჯამებელი გაკვეთილის გამო მათ ორმაგად და დამსახურებლად ეკუთვნით ამ გამოფენაზე წასვლა, რომ უკეთესად გაეცნონ თამარის ეპოქას და „ვეფხისტყაოსანს“. **საშინაო დავალება: ქართული:** მოიძეონ თამარისადმი მიძღვნილი სხვა ლიტერატურული ნაწარმოებები, მცირე ნაწყვეტი გადაწერეთ რვეულებში და მხატვრულად წაიკითხონ შემდეგ გაკვეთილზე. **ისტორია:** მოიძიონ თამარის დროს აშენებული ტაძრების შესახებ ინფორმაცია. **3 წუთი**
ძირითადი სასწავლო რესურსები	სახელმძღვანელო, ფურცლები, კალამი. მარკერი, პროექტორი გაკვეთილი ტარდება საკლასო ოთახში
მოსწავლეთა	მოსწავლეები ფასდებიან ჯგუფური მუშაობის რუბრიკის მიხედვით

შეფასება	**3 წუთი**
ე.ს.გ-ის პუნქტები	**ქართული ენა და ლიტერატურა** **ზეპირმეტყველება** **ქართ. V. 1.** მოსწავლეს აქვს ასაკის შესაფერისი სირთულის ტექსტების მოსმენისა და ინტერპრეტაციის საწყისი უნარი. **ქართ. V. 2.** მოსწავლეს შეუძლია ჯგუფური და ინდივიდუალური საკომუნიკაციო ამოცანების განხორციელება. **კითხვა** **ქართ. V. 8.** მოსწავლეს შე-უძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ტექსტების წაკითხვა და ადეკვატურად გაგება-გაანალიზება. **ქართ. V. 9.** მოსწავლეს აქვს წაკითხული მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის საწყისი უნარი. **ქართ. V. 12.** მოსწავლეს შე-უძლია კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით.

1. **ჯგუფის წევრების ჩართულობა და თანამშრომლობა**

ა) ყველა ჩართულია, იცავენ რიგითობას, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს - 2 ქულა;

ბ) უმცირესობა მუშაობს და ჯგუფში დომინირებენ ლიდერები - 1 ქულა;

გ) არ უსმენენ ერთმანეთს - 0 ქულა.

2. **სამუშაო მიზნის გაგება**

ა) სამუშაოს მიზანი კარგად გაიგეს - 2 ქულა;

ბ) სამუშაოს მიზანი ნაწილობრივ გაიგეს - 1 ქულა;

ა) სამუშაოს მიზანი ვერ გაიგეს - 0 ქულა

3. **დავალებას გაგება-გააზრება**

ა) კარგად გაიაზრეს და შეასრულეს დავალება - 2 ქულა;

ბ) ნაწილობრივ გაიაზრეს დავალება - 1 ქულა;

გ) საერთოდ ვერ გაიაზრეს დავალება - 0 ქულა.

4. **დროის ლიმიტი**

ა) თავს ართმევენ, დაიცვან დროის ლიმიტი - 1 ქულა;

ბ) ვერ იცავენ დროის ლიმიტს - 0 ქულა.

5. **პრეზენტაცია, ლიდერი**

ა) ლიდერი ეფექტურად წარმოაჩენს ჯგუფის ნამუშევარს - 2 ქულა;

ბ) ლიდერი არც ისე დამაჯერებელია - 1 ქულა;

გ) საერთოდ ვერ წარადგენს ნამუშევარს - 0 ქულა.